



კონსტანტინე ალიბეგაშვილი

დეკანოზ


კორნელი კეკელიძის

ბიბლიოგრაფია

თბილისი

„წიგნის სავანე“

2013



დეკანოზ კორნელი კეკელიძის ბიბლიოგრაფია

კორნელი კეკელიძე – Korneli Kekelidze

(1879-1962)

სასულიერო პირი, ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დეკანოზი კორნელი კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 18 აპრილს (30 აპრილი) ვანის რაიონის სოფელ ტობანიერში, სამსონ კეკელიძის მრავარიცხოვან ოჯახში. კეკელიძეები მდინარე გუბაზოულის აუზის სოფლებიდან არიან. მისი წინაპარი სოფელ ზოტიდან გადასახლებულა ტობანიერში. მამა მედავითნე იყო. დედას თებრონე რქმევია. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა.

კორნელიმ წერა-კითხვა ოჯახში ისწავლა. 1886 წელს მშობლებმა იგი შეიყვანეს ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში. მამას უჭირდა შვილის ქუთაისში რჩენა. სკოლის ინსპექტორის ივანე გაფრინდაშვილის, მომავალი პოეტის, პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მამის, დახმარებით მომავალი აკადემიკოსი უფასოდ ჩარიცხეს სასწავლებლის ინტერნატში, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

შემდეგ, კორნელი კეკელიძე (1893–1900წწ) შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. კეთილი ადამიანის, სემინარიის ინსპექტორის იოანიკის დახმარებით მოაწვევეს სემინარიის პანსიონში, თორემ სამსონ კეკელიძე შვილს თბილისში ვერ შეინახავდა. 1896 წელს დედა გარდაეცვალა, ორი წლის მერე მამა. ოჯახს უფროსი და და სიძე, ამფილოქე ცინცაძე ეხმარებოდნენ. სემინარიის დახმარებით, როგორც წარჩინებულ კურსდამთავრებულს, შესაძლებლობა მისცეს “სახელმწიფოს ხარჯზე” ესწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც გამოცდები შესანიშნავად ჩააბარა 1900 წლის შემოდგომაზე და მოეწყო სიტყვიერების ფაკულტეტზე. აქ დაეუფლა იგი ისტორიულ–ფილოლოგიურ დარგებს და ხელი მოჰკიდა ქართული ლიტერატურის შესწავლას. კორნელი კეკელიძემ 1904 წელს წარმატებით დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია.

ნიკო მარისა და მიხეილ ჯავახიშვილის სამეცნიერო მოგზაურობის შედეგებმა დიდი ინტერესი აღძრა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებისადმი ევროპაში. კორნელი კეკელიძე მერე წერდა: „ჩვენი მდიდარი კულტურის შესწავლა, ჰარნაკის (გერმანელი მეცნიერი) აზრით, მხოლოდ გერმანელი მეცნიერებისაგან იყო მოსალოდნელი. მე კი ვფიქრობდი, ჯერ კიდევ მაშინ, რომ ეს საქმე პირველ ყოვლისა უნდა თვით ქართველებმა იკისრონ; რომ თუ ვისმე შეუძლია ეს, პირველ რიგში ქართველ მეცნიერებს. ამისათვის

საჭირო არაა, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი სწერდა ერთხელ აკად. მ. ბროსეს, ევროპელებს ველოდოთ. ამ გარემოებამაც წარმართა ჩემი სამეცნიერო ინტერესები, მე განვიზრახე ჩემი წვლილიც შემეტანა ამ დიდს, თავისთავად საჭირო და აუცილებელ საქმეში.”

კორნელი კეკელიძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც გამოავლინა, შეისწავლა, გამოსცა და სამეცნიერო კვლევები მიუძღვნა ძველი ქართული ლიტერატურის უზრუნველყოფას ნიმუშებს. იგი ყველა საქმის შუაგულში ტრიალებდა, რომელიც მიმართული იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение“ („ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“), რომელიც 1904 წელს კიევის სასულიერო აკადემიას წარუდგინა ნაშრომის სახით რუსულ ენაზე.

1905 წლის იანვარში იგი სასულიერო პირი გახდა, მალე მღვდლობის ხარისხით შეიმოსა და საქართველოში სასულიერო-პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას შეუდგა. 1905—1906 წლებში მასწავლებლობდა ჯერ ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ თბილისში საეპარქიო სასწავლებლის პედაგოგიური ნაწილის გამგედ დაინიშნა.

კორნელი კეკელიძემ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საეპარქიო სასწავლებელში ქართული დისციპლინების (ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის) სწავლების გაძლიერებას, რითაც დაიმსახურა საეკლესიო უწყების მეთაურის, მაშინდელი ეგზარხოსის რისხვა. ეგზარხოსის გვერდის ავლით სასწავლო ნაწილის გამგემ ვრცელი, გაბედული მოხსენებით მიმართა სინოდს საეპარქიო სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის რაობაზე. კორნელი კეკელიძის აქ ყოფნის დროს „საეპარქიო ქალთა სასწავლებელი ნამდვილ ეროვნულ სასწავლებლად გადაიქცა“ – წერს ვინმე „ძველი სემინარიელი.“ (გაზ. „საქართველო“, 1916წ. N223.)

კორნელი კეკელიძე აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში.

კორნელი კეკელიძის პირველი სამეცნიერო ნაშრომი „ახალი საგალობლები აზო თბილელისა“ 1905 წელს ჟურნალ „მწყემსში“ (№ 13, 14) დაიბეჭდა. 1907 წელს გადამუშავებული საკანდიდატო ნაშრომისათვის „ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ (რუსულ ენაზე, ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში, 1908წ.) მიენიჭა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. ეს ყოფილა პირველი შემთხვევა რუსეთის იმპერიაში, როცა აკადემიაში ქართველი ქართულ თემაზე იცავდა დისერტაციას. მისი მასწავლებელი სარეცენზიო წერილში წერდა: ნაშრომს „აღბეჭდილი აქვს ის პოლიტიკური და ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის აუცილებელი გავლენის ქვეშ იმყოფება ახალგაზრდა ავტორი – თავისი მშვენიერი, მაგრამ უბედური სამშობლოს

კანონიერი შვილი. აღზრდითაც და სამსახურეობრივი მდგომარეობითაც კი იგი იმყოფება თანამედროვე ცხოვრებისა და ლიტერატურის ნაციონალისტურ მოძრაობათა შუაგულში“.

კორნელი კეკელიძემ ნაშრომის საჯაროდ დაცვის წინ წარმოთქვა მხურვალე სიტყვა: „ქართული ეკლესია აღმოცენდა ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. მან ჯერ კიდევ IV-V სს. შეიმუშავა თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა, რომლის საშუალებითაც საიწყო ბერძნულ-ბიზანტიური საქრისტიანო ცივილიზაციის ათვისება და ეროვნული გენიის ძალით გარდაქმნა იგი ივერიისმის ცხადად გამოკვეთილი ნიშნების მქონე თავისებურ კულტურულ სისტემად.“

კორნელი კეკელიძემ უარი თქვა კიევის აკადემიაში კათედრა ჩაებარებინა და სამშობლოში დაბრუნდა, რომელსაც ძალიან სჭირდებოდა მისნაირი შვილები.

თედო ჟორდანია, მისი პედაგოგი სემინარიიდან, კორნელი კეკელიძეს სწერდა: – “მივიღე ძვირფასი საჩუქარი - თქვენი ახალი წიგნი „Иерусалимский Канонар“ (რომელმაც დაიმსახურა მ. ნ. ახმატოვის სახელობის პრემია. გ. მ.) თვალი გადავაგლე და მადლობა შევწირე ღმერთს, რომელმაც აღმისრულა მე ჩემი წადილი: როგორც იყო ამ ბოლო ჟამს მოგვივლინა ქართველებს გამჭრიახი, საქმიანი და მცოდნე გამომძიებელი ქართული ხელნაწერებისა... აქამდის თუ პატივსა გცემდით, ახლა ძმაზე უძმესი ხართ ჩემთვის... თქვენი მეცადინეობა, ახალგაზრდობა, ნიჭი, ცოდნა, სიყვარული მეცნიერებისადმი ჭეშმარიტს, უმწიკვლოს მოჰფენს დიდებულს ისტორიას... თქვენი უკანასკნელი შრომა არის გვირგვინი თქვენი ნაშრომებისა, ღირსი სამეცნიერო დოქტორობის ხარისხისა (დაუცველად). თქვენი ყოფილი მასწავლებელი დღეს თქვენ ათასჯერ მეტად გაფასებთ, ვიდრე დღემდი. დამიჯერე, ჩემს ძმასთან უძმესო კორნელი, რომ ჩვენ უნდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ დასაცველად ჩვენის მწერლობა-ისტორიის ღირსებათა. რაც კარგი ვნახოთ, ის შევითვისოთ, გამოვააშკარავოთ, გამოვაბრწყინოთ, ხოლო ნაკლულევანებანი, დაე, მტრებმა ეძიონ“.

1905—1912წწ. თანამშრომლობდა „კიევის სასულიერო აკადემიის შრომებში“, 1912—1917წწ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში — „ქრისტიანული აღმოსავლეთი“. სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისთანავე კორნელი კეკელიძეს მძიმე შავი სამუშაოს შესრულება მოუხდა არქივებსა და სიძველეთსაცავებში, კერძო მეპატრონეთა კოლექციებში. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვებისა და აღწერილობის საქმეს. ძველი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობის დიდი ნაწილი ჯერ სრულიად ხელუხლებელი იყო. კორნელი კეკელიძის ადრინდელმა სამეცნიერო ნაშრომებმა („იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა“, რუსულ ენაზე, 1912წ., მ. ნ. ახმატოვის სახელობის პრემია; „ძველი ქართული არქიერატიკონი“, რუსულ ენაზე, 1912წ.) ბევრ რუს და უცხოელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართული მწიგნობრობისადმი. კორნელი კეკელიძემ მეცნიერულად აღწერა გელათში (1905წ.) და სვანეთში (1911წ.) დაცული ქართული ხელნაწერები.

კორნელი კეკელიძის მოღვაწეობას თანაგრძნობითა და მოწონებით ხვდებოდნენ საქართველოს მოწინავე სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეები. სამაგიეროდ, უკმაყოფილო რჩებოდა, როგორც რუსეთის ცენტრალური, ისე ადგილობრივი სასულიერო უწყება. დეკანოზ კორნელი კეკელიძის შრომები ეხმაურებოდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხელს უწყობდა ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას და მოსწავლე თაობის აღზრდას პატრიოტიზმის იდეალებზე. იგი ბეჯითად იცავდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის („ავტოკეფალიზმის“) იდეას, რაც სასულიერო უწყების მეთაურთა შეურიგებელ წინააღმდეგობას იწვევდა. კორნელი კეკელიძე თავგამოდებით იბრძოდა იმ ტიპის რეაქციონერი მოღვაწეების წინააღმდეგ, როგორებიც იყვნენ ვოსტორგოვი და იანოვსკი. რუსეთის სასულიერო უწყება იძულებული ხდებოდა სერიოზული ანგარიში გაეწია დეკანოზ კორნელი კეკელიძის მიერ დამსახურებულად მოპოვებული გამოჩენილი მეცნიერის სახელისათვის.

დეკანოზი კორნელი კეკელიძე - Korneli Kekelidze



1916-1918 წლებში დეკანოზი კორნელი კეკელიძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო, ამ დაწესებულების პირველი ქართველი რექტორი. როგორც იმდროინდელ პრესაში აღინიშნა, ეს იყო პირველი შემთხვევა ერეკლე მეორის შემდეგ, როცა ჩვენი ქვეყნის ასეთ მნიშვნელოვან სამოსწავლო დაწესებულებას სათავეში ჩაუდგა ქართველი კაცი.

კორნელი კეკელიძემ დიდი ამაგი დასდო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვას, განსაკუთრებით, მის ავტოკეფალურ უფლებათა კანონიკური საფუძვლების წარმოჩენის საქმეს, რის გამოც იგი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, წმიდა კირიონმა (სამაგლიშვილმა) მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელ პირთა და პროფესორთა სიაში კორნელი კეკელიძე მოხსენიებულია როგორც „მიტრაშემოსილი დეკანოზი“. ეს ჯილდო წმიდა კირიონმა თავისი აღსაყდრების დღეს, 1917 წლის 1(14) ოქტომბერს (სვეტიცხოვლობას), გაიღო, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ახლადდადგინებულმა მწყემსმთავარმა, აწ საეკლესიო სინოდის განჩინებით წმინდანად კანონიზებულმა, პირველი და უპირატესი ყურადღება მის მიმართ გამოავლინა. ამ ნაბიჯით მან მიანიშნა, რომ ეთანხმება და იწონებს იმ მიმართულებას და პოზიციას, რომელზეც კორნელი კეკელიძე დგას.

სამოდგაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე კორნელი კეკელიძე იმ განათლებულ და საერო პირთა გვერდით დადგა, რომლებიც საეკლესიო პრაქტიკის დახვეწისათვის, მისი გამარტივებისა და გათანამედროვეობისათვის ზრუნავდნენ. მათგან პირველ რიგში წმიდა ამბროსი, ლეონიდე, კალისტრატე, ეპ.პეტრე, არქ.პიროსი, პროფესორი იუსტინე აბულაძე და პროფესორი სერგი გორგაძე უნდა დავასახელოთ. მათ ჩამოყალიბებული ჰქონდათ ბიბლიის ქართული თარგმანისა და სამღვდელმსახურო წიგნების ჩამასწორებელი კომიტეტი, რომლის მიზანი ტექსტოლოგიის ჩარჩოებს შორდებოდა და ლიტურგიის სფეროში გარკვეული რეფორმების ჩატარებას მოიცავდა. ეს იდეები არეკლილია კოლექტიურ წერილში „კურთხევანის დაბეჭდვის გამო,“ რომლის სტრიქონებს შორის საეკლესიო ცხოვრების განახლების სურვილი და სულისკვეთება იგრძნობა.

საქართველოს პირველი საეკლესიო კრება, რომელიც 1917 წლის 8-17 სექტემბერს შედგა თბილისში, საეკლესიო ცხოვრების განახლებისა და რეფორმაციის სულით აღიბეჭდა, რასაც ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ კრების სხდომებს სასულიერო პირებთან ერთად ესწრებოდნენ ერისკაცები, ცნობილი საზოგადო მოღვაწენი. დეკანოზი კორნელი კეკელიძე პირველი საეკლესიო კრების ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო. იგი, როგორც თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციის (სტატუსის) კომისიას, აქტიურად ებმებოდა დებატებში და ორი მოხსენება წარმოადგინა: პირველი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხებს ეხებოდა, მეორე - რეფორმებს ლიტურგიასა და სამღვდლო პირთა ყოფაცხოვრებაში.

ტექსტი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ კრებას მოხსენების სახით 15 სექტემბერს საღამოს სხდომაზე წარუდგინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დოკუმენტი და მისი განხილვის პროცესი კრების მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მხარეა. აქ მკაფიოდ და გაბედულადაა ნათქვამი შემდეგი: – „ბევრი რამ, რაც ბევრს, განათლებულს თუ გაუნათლებელს მართლმადიდებელი ეკლესიის არსება ჰგონია, არ არის მართლმადიდებლობა; ის, რისი ძირძველობა თითქოს სადავო არ უნდა იყოს,


სინამდვილეში ახალია და რაღაც გაუგებრობათა შედეგი, ანდა პრაქტიკულ მოტივთა და მოსაზრებათა ნაყოფია; ის, რაც მორმწუნეთა საზოგადოების დიდ ნაწილს ზოგჯერ დოგმატის რანგში აჰყავს, რეალურად მეორეხარისხოვანი მოვლენაა და ცვალებადობის კანონს დაქვემდებარებული. ასეთია: 1) ტიბიკონი ანუ საეკლესიო ღვთისმსახურების წესი და რიგი; 2) საეკლესიო-საღვთისმსახურო ანუ ლიტურგიკული წიგნების ანბანი და ენა, ამ წიგნების რედაქციები; 3) სამღვდელთა საგანგებო შესამოსელი: აუცილებელია თუ არა, რომ სასულიერო პირებმა წირვაზე, წესების შესრულების დროს და, მით უმეტეს, ჩეულებრივ ყოფა-ცხოვრებაში საგანგებო სამოსელი ატარონ? 4) საჭიროა თუ არა, რომ მღვდლებმა წვერი მოუშვან?“ თითოეულ საკითხზე პასუხი წყაროთმცოდნეობის თანამედროვე დონეზე, ამომწურავად და მართლმადიდებელი სარწმუნოების პოზიციიდანაა გაცემული, ამასთანავე, მარტივად, ლაკონურად და პოპულარულად, რაც ავტორის ცოდნის სიღრმესა და ხელოვნებაზე მიგვანიშნებს.

იმდროინდელი პრესა („სახალხო საქმე“, 1917, 19.IX, №54) და ისტორიკოსი ევსევი ნიკოლაძე, რომელიც აღნიშნული კრების მონაწილე იყო, გვაუწყებენ, რომ დეკანოზ კორნელი კეკელიძის დებულებები ანუ რეკომენდაციები (1) წირვა-ლოცვის შემოკლების, (2) საღვთო და სამღვდლო წიგნების მხედრულად დაბეჭდვის, (3) ერში სასულიერო პირების ანაფორის გარეშე სიარულისა და (4) მათ მიერ წვერის გაპარსვის შესახებ კრებამ დაადასტურა; ამაზე კრება თანახმა გახდაო (ე.ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორიამ ქუთაისი, 1918, გვ.249).

„სახალხო გაზეთს“ დამოწმებული და მის მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებულია ვრცელი კორესპონდენცია, რეპორტაჟები, რომელთაც ხელმოწერა არ ახლავთ. ამიტომ სავარაუდოა, რომ ისინი რედაქტორ-გამომცემელ სიმონ ფირცხალავას ეკუთვნის და შეფასებითი მომენტები, რომლებიც აქა-იქ გვხვდება, გაზეთის საერთო პოზიციას გამოხატავს. კერძოდ, დეკანოზ კორნელი კეკელიძის მოხსენებაა, რომელიც მეცნიერული ხასიათი არის, აღსავსეა საყურადღებო ცნობებით და ამიტომ კრების ინტერესებსაც აკმაყოფილებს...“ ირკვევა, რომ სხდომაზე პაექრობაც ყოფილა. მაგალითად დეკ. ნიჟარაძეს (ბესარიონს?) მომხსენებლისათვის ასეთი კითხვა დაუსვამს „ახალ ქალთა ემანსიპაციაა. თუ მღვდლები პიჯაკ-შლიაპებით მოირთვებიან, რატომ მონაზონ ქალებს არ უნდა შეეძლოთ საერო ტანსაცმლის ჩაცმა?“ მომხსენებელს უპასუხია „მაგას განსაკუთრებით არ შევხებივარ. მაინც პასუხს მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით. ღვთისმშობლისა და წმ.ნინოზე უმაღლესი ქალწული მე სხვა არ მეგულება. თუ იგინი დაიარებოდნენ იმავე სამოსით, როგორითაც სხვა მათი თანამედროვე ქალნი, ჩვენი მონაზონებიც უფლებამოსილნი არიან ისევე ჩაიცვ-დაიხურონ, როგორც სხვებმა. მით უფრო, რომ სარწმუნოება გარეგნობაში არ გამოიხატება“. ეპ. ანტონს უთქვამს, „მოუშაადებელნი ვართ, კანონებს ვარღვევთ, სავსებით არ ვიცავთ და ნუ ავჩქარდებით“. დეკანოზ კორნელი კეკელიძეს კი მიუვია: „პირიქით, მე მეექვსე კრების ორი მუხლი მოვიყვანე თმის ტარების აკრძალვის შესახებ“.

მცირე, მაგრამ კონსტრუქციული კამათის მიუხედავად, კრების მონაწილეთა უმრავლესობას, მათ შორის, არა ერთსა და ორ ისეთ სასულიერო თუ საერო პირს, რომლებიც დღეს წმინდანთა თანა მოიხსენებიან, დეკანოზ კორნელი კეკელიძის გამოსვლისათვის მაღალი შეფასება მიუცია და მის ძირითად დებულებებსაც დასთანხმებიან.

დიდა მისი ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1919-1925წწ. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1926—1930წწ. სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი იყო. 1921—1930წწ. ხელმძღვანელობდა თსუ-თან არსებულ სიძველეთსაცავს, 1933—1936წწ. — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1942—1949წწ. განაგებდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. სხვადასხვა დროს იყო განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამიერკავკასიის ცაკის წევრი (1927, 1929წწ).



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები - პირველ რიგში: მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულისძე, მიხეილ თაქთაქიშვილი; მეორე რიგში: ანდრია ბენაშვილი, ნიკო ჩიგოგიძე; მესამე რიგში: ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ვასილ კაკაბაძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭოლოშვილი.

კორნელის ორი ცოლი ჰყავდა, პირველი მეუღლისგან სამი შვილი შეეძინა: ალექსანდრე, კოტე და ილია. მეორე მეუღლე მოგვიანებით შეირთო, რომლისგანაც შვილი არ ჰყოლია. ალექსანდრემ 1924 წელს დააარსა იატაკვეშა გაერთიანება "თავისუფალი საქართველო". მაშინ

ალექსანდრე 18 წლის იყო. ორგანიზაცია ერთ–ერთმა წევრმა გასცა, გვარათ ბარათაშვილმა. ორგანიზაციის წევრები და, მათ შორის, ალექსანდრე დააპატიმრეს. ალექსანდრე კეკელიძე დახვრიტეს თავისუფლების მოედანზე. კორნელიმ მძიმედ გადაიტანა შვილის დაღუპვა. იმ პერიოდში კორნელი მეუღლესთან ერთად სამაჩაბლოში იყო. ჩეკისტებმა კორნელი იქ დააპატიმრეს და ისე ჩამოიყვანეს თბილისში. მაგრამ როდესაც დაკითხვების შედეგად დარწმუნდნენ, რომ კორნელის ამ ორგანიზაციასთან არავითარი შეხება არ ჰქონდა, გაანთავისუფლეს.



კორნელი კეკელიძე, კონსტანტინე გამსახურდია.

კორნელი კეკელიძის დიდმა ერუდიციამ, ძველი ქართული მწერლობის როგორც ზოგად, ისე ვიწრო სპეციალურ საკითხებში ღრმა განსწავლულობამ განაპირობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა (1923–1960წწ. გამოიცა ოთხჯერ). ორტომეულის საფუძველზე კორნელი კეკელიძემ შექმნა „ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი“ (რუსულ ენაზე, 1938წ). 1955წ. რომში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის მიერ გადამუშავებული კორნელი კეკელიძის ორტომეულის I ტომი.

1948–1954წწ. გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობათა რამდენიმე ტომი კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით. განუზომელია კეკელიძის ღვაწლი ტექსტოლოგიაში: 1918 და 1946 წელს გამოსცა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული (პ. პეტერსმა აქ გამოქვეყნებული ტექსტები ერთი ნაწილი ლათინურად თარგმნა), 1930წ. – ნ. ციციშვილის

„შვიდი მთიები“, 1935წ. — იოანე საბანის ძის „აბო თბილელის წამება“ და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, 1936 და 1948 წელს — იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ორტომეული (თანარედაქტორი ა. ბარამიძე), 1938წ. — „ვისრამიანი“ (თანარედაქტორები ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა), 1941წ. — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სხვა.

კორნელი კეკელიძემ თავიდანვე განსაზღვრა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის დიდი მნიშვნელობა როგორც საკუთრივ ქართული კულტურის ისტორიაში, ისე მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. იგი იკვლევდა ქართულ-ბიზანტიურ, ქართულ-სპარსულ ლიტერატურის ურთიერთობებს, ძველი ქართული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთმიმართების საკითხებს. კორნელი კეკელიძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ ისტორიოგრაფიასაც, აქვს საგანგებო გამოკვლევები ძველი ქართული დამწერლობის, ქართული წელთაღრიცხვისა და კალენდრის, ძველი ქართული სტამბისა და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის, ძველ ქართულ ლიტერატურაში მთარგმნელობითი მეთოდისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მისმა ნაშრომებმა აამაღლა და განამტკიცა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პრესტიჟი მთელ მსოფლიოში. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველ მეცნიერებათა კადრების აღზრდაშიც. კორნელი კეკელიძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და 2 შრომის წითელი დროშის ორდენით.

დეკანოზი კორნელი კეკელიძე გარდაიცვალა 1962 წელს. იგი დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარამიძე, ალ. — ჩვენი დიდი მეცნიერი. — თბ., 1979;
2. ბარამიძე, ალ. — კორნელი კეკელიძე. — თბ., 1961;
3. ბარამიძე, ალ. — ქსე, ტ. 5. — თბ., 1980. — გვ. 461
4. დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე. /კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, — თბ., 1965;
5. ზღვარი. — 2005. — N1(5).~
6. კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად: კრებული. — თბ., 1959;
7. კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა. / შეადგინა რ. კავილაძემ, — თბ., 1979;
8. კორნელი კეკელიძე (1879—1962). ბიობიბლიოგრაფია. /შემდგ. ს. ყუბანეიშვილი, ე. დოლიძე, — თბ., 1979;

სტატიები კორნელი კეკელიძის ავტორობით:

კეკელიძე, კ. – აგიოგრაფიულ ძეგლთა „ბესების“ საკითხისათვის. // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მე-7 სამეცნ. სესია. 1942 წლის 20–22 ივნისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1942. – გვ. 10.

კეკელიძე, კ. – ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. 1). იოანე საბანისძე – მარტვილობა აბო ტფილელისა. 2). ბასილ ზარზმელი – ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა. [კ. კეკელიძის წინასიტყვაობით, რედაქციითა და გამოკვლევით]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ. 8. /კ. კეკელიძე. – თბ., 1962. – გვ. 251–257.

კეკელიძე, კ. – ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა. // მნათობი. – 1931. – N7–8. – გვ. 152–171. N9–10. – გვ. 213–226.

კეკელიძე, კ. – ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ. 12. /კ. კეკელიძე. – თბ., 1973. – გვ. 51–82.

კეკელიძე, კ. – ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ. 2. /კ. კეკელიძე. – თბ., 1945. – გვ. 218–236.

კეკელიძე, კ. – ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან. // თბილისის უნივერსიტეტის შრომები: სერია 1. ტ. 6. – 1938. – გვ. 139–160.

კეკელიძე, კ. – აკადემიკოსი ნიკო მარი და ქართული ლიტერატურის ისტორია. // მნათობი. – 1946. – N11. – გვ. 134–143.

კეკელიძე, კ. – აკადემიკოსი ნიკო მარი და ქართული ლიტერატურის ისტორია. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ. 8. /კ. კეკელიძე. – თბ., 1962. – გვ. 286–296.

კეკელიძე, კ. – აკაკი შანიძეს. [სიტყვა, წარმოთქმული 1957 წლის 10 მაისს აკაკი შანიძის დაბადების 70 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე]. // წგ–ში: ორიონი: საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. /შემდგენელი ტ. კასრაძე; ი. იმნაიშვილი და სხვ. – თბ., 1967. – გვ. 47–49.

კეკელიძე, კ. – აკაკის ანდერძი ახალგაზრდობას. // ახალგაზრდა სტალინელი. – 1960. – 9 დეკემბერი.

კეკელიძე, კ. – ალეგორია დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. [დ. გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავისათვის]. // ლიტერატურული გაზეთი. – 1955. – 30 სექტემბერი. – გვ. 2.

კეკელიძე, კ. – ალექსანდრე ყაზბეგი. (შესავალი სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში 1948 წლის 20 სექტემბერს). // ლიტერატურული მივბანი: ტ. 15. – თბ., 1963. – გვ. 327–329.

კეკელიძე, კ. – ალექსანდრეანი. [ნაწარმოების ავტორის (მთარგმნელის) ვინაობის დადგენისათვის]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ. 2. საერო მწერლობა XI–XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ., 1924. – გვ. 214–216.

კეკელიძე, კ. – ალლუზიანი. [პოემის ანალიზი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ. 2. საერო მწერლობა XI–XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ., 1924. – გვ. 197–205.

კეკელიძე, კ. – ამირან–დარეჯანიანი. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ. 2. საერო მწერლობა XI–XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ., 1924. – გვ. 44–63.

კეკელიძე, კ. – ამირან–დარეჯანიანი. (გალექსილი) [ავტორის ვინაობისათვის]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ. 2. საერო მწერლობა XI–XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ., 1924. – გვ. 192–195.

კეკელიძე, ვ. – ამირ–ნასარიანი. [თხზულების ანალიზი და ქართული თარგმანის ავტორის ვინაობა. ვახტანგ მეექვსე]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /ვ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.320–321.

კეკელიძე, ვ. – ანტიკის გადმონაშთები ძველ ქართულ ლიტერატურაში. // ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე: ტ.14. – თბ.,1944. – გვ.117–126.

კეკელიძე, ვ. – ანტიკის გადმონაშთები ძველ ქართულ ლიტერატურაში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.8. /ვ. კეკელიძე. – თბ.,1962. – გვ.132–142.

კეკელიძე, ვ. – ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში: მოხსენების თეზისები. // თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია. 1954 წლის 22–27 ნოემბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ. „თ.ს.უ.“ 1954. – გვ.109–110.

კეკელიძე, ვ. – ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში: მოხსენების თეზისები. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.3. /ვ. კეკელიძე. – თბ.,1955. – გვ.42–60.

კეკელიძე, ვ. – ანტონი კათალიკოზის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან. // საღვთისმეტყველო კრებული. – 1991. – N1. – გვ.126–129.

კეკელიძე, ვ. – ანტონი კათალიკოზის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან. [ანტონ I კათალიკოსის ლიტერატურული მოღვაწეობა. სიტყვა წაკითხულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრებაზე 24 თებერვ. 1914წ.]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.4. /ვ. კეკელიძე. – თბ.,1957. – გვ.175–186.

კეკელიძე, ვ. – არავითარი შეზღუდვა ხალხის მტრებს: თბილისის უნივერსიტეტში. [ნაწყვეტები გამოსვლებიდან]. // კომუნისტი. – 1937. – N222. – 28 სექტემბერი. – გვ.3.

კეკელიძე, ვ. – არსენიშვილი, ი. მ. [ნეკროლოგი]. // კომუნისტი. – 1946. – 13 ოქტომბერი. – გვ.4.

კეკელიძე, ვ. – არჩილ მეფე. [საქართველოს მეფის ცხოვრება და სამწერლობო მოღვაწეობა]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /ვ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.401–421.

კეკელიძე, ვ. – „ასწლოვანი მატიანე“ – ჟამთააღმწერელი. [„ასწლოვანი მატიანე“ როგორც ლიტერატურული ძეგლი (კორნელი კეკელიძის თვალსაზრისი)]. // წგ–ში: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია: ტ.2. /საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი. – თბ.,2010. – გვ.234–259.

კეკელიძე, ვ. – აღვზარდოთ ღირსეული თაობა. // სახალხო განათლება. – 1946. – 6 აპრილი.

კეკელიძე, ვ. – აღვზარდოთ ღირსეული თაობა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.13. /ვ. კეკელიძე. – თბ.,1974. – გვ.273–274.

კეკელიძე, ვ. – აშოტ დიდი კურაპალატის ქრონოლოგიისათვის. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.8. /ვ. კეკელიძე. – თბ.,1962. – გვ.251–257.

კეკელიძე, ვ. – აშუშა პიტიახშის ბეჭედის წარწერის გაგებისათვის. [რეზიუმე რუსულ ენაზე]. // ლიტერატურული მიეზანი: ტ.5. – თბ.,1949. – გვ.125–132.

კეკელიძე, ვ. – აშუშა პიტიახშის ბეჭედის წარწერის გაგებისათვის: მოხსენების თეზისები. // საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. განყოფილების 28–ე სამეცნ. სესია, მიძღვნილი აკად. სიმონ ჯანაშიას ხსოვნისადმი (10–11 დეკემბერი. 1948წ.) – თბ.,1948. – გვ.5–12.

კეკელიძე, ვ. – აშუშა პიტიახშის ბეჭედის წარწერის გაგებისათვის: [რეზიუმე რუსულ ენაზე]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.1. /ვ. კეკელიძე. – თბ.,1956. – გვ.147–154.

- კეკელიძე, კ.** – ახალი გამოცემა ძველი ქართული აგიოგრაფიის დარგში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.8. /კ. კეკელიძე. – თბ.,1962. – გვ.377–382.
- კეკელიძე, კ.** – ახალი ეტაპი რუსთველოლოგიაში. // სიტყვა და საქმე. – ქთ.,1934. – N6. – 1 ნომბერი.
- კეკელიძე, კ.** – ახალი ვარიანტი ევსტოქის მარტვილობისა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.148–159.
- კეკელიძე, კ.** – ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა–გიორგის ისტორიისა. // თბილისის უნივერსიტეტის შრომები: ტ.16. – თბ.,1940. – გვ.91–109.
- კეკელიძე, კ.** – ახალი ნარკვევი ქართული სტამბის ისტორიიდან. // საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე: ტ.27. N4. – თბ.,1961. – გვ.507–510.
- კეკელიძე, კ.** – ახალი ნარკვევი ქართული სტამბის ისტორიიდან. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.8. – თბ.,1962. – გვ.352–356. და ტ.10. – თბ.,1968. – გვ.295.
- კეკელიძე, კ.** – ახალი საგალობლები აბო თბილელისა. // მწყემსი. – 1905. – N13–14. – გვ.3–6.
- კეკელიძე, კ.** – ახალი საგალობლები აბო თბილელისა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.414–417.
- კეკელიძე, კ.** – ახალი სიურპრიზი. [აფხაზეთის ეპარქიის შესახებ]. // საქართველო. – 1916. – 29 მარტი. – გვ.3.
- კეკელიძე, კ.** – „ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ.“ // ლიტერატურული ძიებანი: ტ.11. /ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. – თბ.,1958. – გვ.447–461.
- კეკელიძე, კ.** – „ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ.“ // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.4. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.103–119.
- კეკელიძე, კ.** – ახლად აღმოჩენილი აგიოგრაფიული თხზულება იოსებ სკევოფილაქისა (XI საუკუნე). // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.3. /კ. კეკელიძე. – თბ.,1955. – გვ.251–270.
- კეკელიძე, კ.** – ახლად აღმოჩენილი მარტვილობა ასტიონის და შვიდი იტალიელი მხედრისა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.187–211.
- კეკელიძე, კ.** – ზავშვებო. // ნორჩი ლენინელი. – 1959. – 12 ივნისი. – გვ.3.
- კეკელიძე, კ.** – ზალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში. // ლიტერატურული ძიებანი: ტ.11. – თბ.,1958. – გვ.145–172.
- კეკელიძე, კ.** – ზალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.41–71.
- კეკელიძე, კ.** – ზარამგულანდამიანი. [შინაარსი და ქართული თარგმანის ავტორის ვინაობა. ვახტანგ მეექვსე]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI–XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.251–256.
- კეკელიძე, კ.** – ზარამგულიჯანიანი. [შინაარსი და ქართული თარგმანის ავტორის ვინაობა. ონანა ქობულაშვილი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI–XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.256–261.
- კეკელიძე, კ.** – ზარამ–გურიანი. [ნაწარმოების ანალიზი და ქართული თარგმანის ავტორის ვინაობისათვის. ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI–XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.236–249.
- კეკელიძე, კ.** – „ზარამ–გურიანის“ ნოველათა სიუჟეტური პარალელები ფოლკლორში. // მნათობი. – 1942. – N10. – გვ.127–130.

- კეკელიძე, კ.** – „ბარამ-გურიანის“ ნოველათა სიუჟეტური პარალელები ფოლკლორში. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.2. /კ. კეკელიძე. – თბ.,1945. – გვ.81–86.
- კეკელიძე, კ.** – „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის. // წგ-ში: აკაკი წერეთელი: საიუბილეო კრებული დაბადების 100 წლისთავისათვის. – თბ.,1940. – გვ.196–202.
- კეკელიძე, კ.** – „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.2. /კ. კეკელიძე. – თბ.,1945. – გვ.64–70.
- კეკელიძე, კ.** – ბახთიარ-ნამე. [ნაწარმოების განხილვა და ქართული თარგმანის ავტორის ვინაობა]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.311–313.
- კეკელიძე, კ.** – ბესარიონ გაბაშვილი. [პოეტის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და შემოქმედება]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.473–482.
- კეკელიძე, კ.** – ბიბლიოლოგია. [ბიბლიის მნიშვნელობა, თარგმანები და გამოცემები]. // წგ-ში: ნათელი ქრისტესი: საქართველო. წგ.1. /ნ. კირთაძე. – თბ.,2003. – გვ.602–609.
- კეკელიძე, კ.** – ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია. // თბილისის უნივერსიტეტის შრომები: ტ.30–31. – თბ.,1947. – გვ.19–95.
- კეკელიძე, კ.** – ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.5. /კ. კეკელიძე. – თბ.,1957. – გვ.19–95.
- კეკელიძე, კ.** – ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.418–420.
- კეკელიძე, კ.** – გამოუქვეყნებელი ნაშრომი: [პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის სადოქტორო ნაშრომზე: „ჩრდილო მხარეთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა; სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა]. // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. – თბ.,1993. – N3–4. – გვ.195–205.
- კეკელიძე, კ.** – განახლებული საქართველო. // ახალგაზრდა სტალინელი. – 1961. – 16 მაისი.
- კეკელიძე, კ.** – გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველს საქართველოში. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.2. /კ. კეკელიძე. – თბ.,1945. – გვ.151–152.
- კეკელიძე, კ.** – გერმანელი იმპერიალისტების განადგურების დიდი პროგრამა. // კომუნისტი. – 1942. – 6 ნოემბერი.
- კეკელიძე, კ.** – გიმნოსოფისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.2. /კ. კეკელიძე. – თბ.,1945. – გვ.108–129.
- კეკელიძე, კ.** – „გოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში. // თბილისის უნივერსიტეტის შრომები: ტ.33 ბ, – თბ.,1948. – გვ.73–106.
- კეკელიძე, კ.** – „გოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.1. /კ. კეკელიძე. – თბ.,1956. – გვ.198–230.
- კეკელიძე, კ.** – დავით გურამიშვილი. [პოეტის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და შემოქმედება]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.455–472.
- კეკელიძე, კ.** – დავით გურამიშვილის განათლების ელემენტები. // ლიტერატურული საქართველო. – თბ.,1942. – N30. – 24 ივლისი.
- კეკელიძე, კ.** – დავით გურამიშვილის განათლების ელემენტები. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.13. /კ. კეკელიძე. – თბ.,1974. – გვ.127–131.

- კეკელიძე, კ.** – **დიადი მომენტი კაცობრიობის ისტორიაში.** [არჩევნების შესახებ]. // კომუნისტი. – 1937. – 16 ოქტომბერი. – გვ.2.
- კეკელიძე, კ.** – **დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი: მეფეთა სალარო.** [თხზულების ანალიზი]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.292–297.
- კეკელიძე, კ.** – **დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი: ტესტამენტი.** [თხზულების ანალიზი და ქართული თარგმანის ავტორის ვინაობა]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.297–300.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი ადამიანის ხსოვნას.** [ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო]. // ახალგაზრდა კომუნისტი. – 1940. – 20 ნოემბერი. – გვ.2.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი ადამიანის ხსოვნას.** [ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო]. // კომუნისტი. – 1940. – 20 ნოემბერი. – გვ.1.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი მოამაგის ხსოვნას.** [იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო]. // კომუნისტი. – 1940. – 30 ოქტომბერი. – გვ.3.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი მოამაგის ხსოვნას.** [იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო]. // კომუნისტური აღზრდისათვის. – 1940. – N10. – გვ.76.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი მოამაგის ხსოვნას.** [მოგონებები იაკობ გოგებაშვილზე]. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.13. /კ. კეკელიძე. – თბ.,1974. – გვ.236.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა.** [შოთა რუსთაველის შესახებ]. // რუსთაველოლოგიური ნარკვევები. – თბ.,1971. – გვ.118–140.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა.** [შოთა რუსთაველის შესახებ]. // თბილისის უნივერსიტეტის შრომები: ტ.11. ნაკვ. 1. – თბ.,1940. – გვ.113–131.
- კეკელიძე, კ.** – **დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა.** [შოთა რუსთაველის შესახებ]. // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.1. /კ. კეკელიძე. – თბ.,1956. – გვ.1–18.
- კეკელიძე, კ.** – **დიდმოურავიანი.** [პომის განხილვა და ავტორის ვინაობის დადგენა. იოსებ თბილელი სააკაძე; იაკობ შემოქმედელი]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.358–365.
- კეკელიძე, კ.** – **დიდუბის ეკლესია.** // საქართველო. – 1916. – 17 აპრილი.
- კეკელიძე, კ.** – **დილარიანი (პეტრე ლარაძისა).** [„დილარიანის“ ავტორის მოღვაწეობა და პომის ანალიზი]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.205–214.
- კეკელიძე, კ.** – **დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში.** // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.232–250.
- კეკელიძე, კ.** – **დრამა.** [გიორგი ავალიშვილის როლი ქართული დრამატული მწერლობის განვითარებაში. მწერლის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება]. // წგ-ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.489–502.
- კეკელიძე, კ.** – **ევსევი სამოსატელი ქართულ მწერლობაში.** // წგ-ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.131–147.
- კეკელიძე, კ.** – **ერთი ადგილის [ზამირის] გაგებისათვის თამარის პირველ ისტორიაში: მოხსენების თეზისები.** // თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია. 1955 წლის 19–22 დეკემბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ. „თ.ს.უ.“ 1955. – გვ.29.

კეკელიძე, კ. – ერთი ადგილის შესახებ ნიზამი განჯელის ისქანდერ–ნამეში. // ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე: ტ.4. – თბ.,1962. – გვ.27–33.

კეკელიძე, კ. – ერთი ადგილის შესახებ ნიზამი განჯელის ისქანდერ–ნამეში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.9. /კ. კეკელიძე. – თბ.,1963. – გვ.200–206.

კეკელიძე, კ. – ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში. [ჩახრუხაძის „თამარიანში“ ნახმარი დავით სოსლანის ტიტულის „ეფრემიანის“ მნიშვნელობა]. // თბილისის უნივერსიტეტის შრომები: ტ.25. – თბ.,1942. – გვ.43–49.

კეკელიძე, კ. – ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში. [ჩახრუხაძის „თამარიანში“ ნახმარი დავით სოსლანის ტიტულის „ეფრემიანის“ მნიშვნელობა]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.1. /კ. კეკელიძე. – თბ.,1956. – გვ.312–318.

კეკელიძე, კ. – ერთი უცნობი კანონიკური კრებული ძველ ქართულ მწერლობაში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.9. /კ. კეკელიძე. – თბ.,1963. – გვ.5–122.

კეკელიძე, კ. – ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში. [გამოკვლევა]. // ჩვენი მეცნიერება. – თბ.,1923. – N1. – გვ.59–64.

კეკელიძე, კ. – ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში. [გამოკვლევა]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.4. /კ. კეკელიძე. – თბ.,1957. – გვ.105–109.

კეკელიძე, კ. – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. // ტფილისის უნივერსიტეტის შრომები: ტ.1. – თბ.,1936. – გვ.107–140.

კეკელიძე, კ. – ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.2. /კ. კეკელიძე. – თბ.,1945. – გვ.237–260.

კეკელიძე, კ. – ექვთიმე ათონელის ორიგინალური ბერძნული შრომა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.13. /კ. კეკელიძე. – თბ.,1974. – გვ.18–25.

კეკელიძე, კ. – ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.13. /კ. კეკელიძე. – თბ.,1974. – გვ.119–120.

კეკელიძე, კ. – ვარშაყიანი. [თხოულების ანალიზი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.286–288.

კეკელიძე, კ. – ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია: (ისტორიულ–ლიტერატურული ექსკურსი). [მოსხენებულია საისტორიო–საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.4. /კ. კეკელიძე. – თბ.,1957. – გვ.187–201.

კეკელიძე, კ. – ვახტანგ გორგასლიანის ისტორიკოსი და მისი ისტორია: ისტორიულ–ლიტერატურული ექსკურსი. // ჩვენი მეცნიერება. – თბ.,1923. – N4-5. – გვ.17–57.

კეკელიძე, კ. – ვახტანგიანი. [პოემის შინაარსი და განხილვა]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.368–374.

კეკელიძე, კ. – ვახტანგ მეექვსე. [საქართველოს მეფის ცხოვრება და სამწერლობო მოღვაწეობა]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.422–433.

კეკელიძე, კ. – ვეფხისტყაოსანი. [პოემის მოკლე ანალიზი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.75–92.

- კეკელიძე, კ.** – „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. [შ. რუსთაველი – ვეფხისტყაოსანი. – თბ. „სახელგამი,“ 1951. საკითხის განხილვის წესით]. // ლიტერატურა და ხელოვნება. – 1952. – 8 თებერვალი. – გვ.3–4.
- კეკელიძე, კ.** – „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. [შ. რუსთაველი – ვეფხისტყაოსანი. – თბ. „სახელგამი,“ 1951. საკითხის განხილვის წესით]. // ლიტერატურული ძიებანი: ტ.8. – თბ.,1953. – გვ.345–360.
- კეკელიძე, კ.** – „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. [შ. რუსთაველი – ვეფხისტყაოსანი. – თბ. „სახელგამი,“ 1951. საკითხის განხილვის წესით]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.13. /კ. კეკელიძე. – თბ.,1974. – გვ.83–97.
- კეკელიძე, კ.** – ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის. [მოხსენება, წაკითხული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე 1936 წ. 2 მარტს.]. // წგ–ში: შოთა რუსთაველი: საიუბილეო კრებული. – თბ. „თ.ს.უ.“ 1966. – გვ.119–123.
- კეკელიძე, კ.** – ვინ არის „ნარგიზოვანის“ ავტორი? // ლიტერატურული საქართველო. – 1939. – 20 ნოემბერი. – გვ.2.
- კეკელიძე, კ.** – ვისრამიანი. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.64–76.
- კეკელიძე, კ.** – ვისრამიანი. (გალექსილი) [ნაწარმოების ანალიზი და ავტორის დადგენა. არჩილი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.249–251.
- კეკელიძე, კ.** – ზალუმ–ჯანიანი. [ზღაპრის მოკლე შინაარსი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.279–280.
- კეკელიძე, კ.** – ზოგი რამ სულხან–საბა ორბელიანის ცხოვრება–შემოქმედებიდან. // კომუნისტური აღზრდისათვის. – 1959. – N10. – გვ.54–58.
- კეკელიძე, კ.** – ზოგიერთი მომენტი სულხან–საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიისა. // წგ–ში: სულხან–საბა ორბელიანი: საიუბილეო კრებული. – თბ. „თ.ს.უ.“ 1959. – გვ.137–145.
- კეკელიძე, კ.** – ზოგიერთი მომენტი სულხან–საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიისა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.9. /კ. კეკელიძე. – თბ.,1963. – გვ.191–199.
- კეკელიძე, კ.** – ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან. // ლიტერატურული ძიებანი: ტ.10. – თბ.,1956. – გვ.159–171.
- კეკელიძე, კ.** – ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.4. /კ. კეკელიძე. – თბ.,1957. – გვ.161–174.
- კეკელიძე, კ.** – ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. [რეზიუმე რუსულ ენაზე]. // თბილისის უნივერსიტეტის შრომები: ტ.LI. – თბ.,1953. – გვ.195–208.
- კეკელიძე, კ.** – ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. [რეზიუმე რუსულ ენაზე]. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.1. /კ. კეკელიძე. – თბ.,1956. – გვ.155–167. და ტ.13. /კ. კეკელიძე. – თბ.,1974. – გვ.11–25.
- კეკელიძე, კ.** – ზოგიერთი საკითხი სულხან–საბა ორბელიანის ლიტერატურული საქმიანობისა. // წგ–ში: სულხან–საბა ორბელიანი 1658–1958: საიუბილეო კრებული. – თბ.,1959. – გვ.125–133.

კეკელიძე, კ. – ზოგიერთი საკითხი სულხან–საბა ორბელიანის ლიტერატურული საქმიანობისა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.8. /კ. კეკელიძე. – თბ.,1962. – გვ.347–351.

კეკელიძე, კ. – თამარიანი. [პოემის ავტორის ვინაობის დადგენისა და დათარიღებისათვის]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.143–154.

კეკელიძე, კ. – თარგმანებაი ეკლესიასტისაი მიტროფანე ზმვირნელ მიტროპოლიტისაი. წინასიტყვაობა, გამოკვლევა და რედაქცია. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.11. /კ. კეკელიძე. – თბ.,1972. – გვ.178–272.

კეკელიძე, კ. – თბილისი ძველ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. // წგ–ში: თბილისი 1500: საიუბილეო კრებული. – თბ. „თ.ს.უ.“ 1958. – გვ.161–170.

კეკელიძე, კ. – თბილისი ძველ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.6. /კ. კეკელიძე. – თბ.,1960. – გვ.120–130.

კეკელიძე, კ. – თედო ჟორდანიას კუბოსთან. // საქართველო. – 1916. – 30 ოქტომბერი. – გვ.4.

კეკელიძე, კ. – თეიმურაზ I. [საქართველოს მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.384–401.

კეკელიძე, კ. – თეიმურაზ II. [საქართველოს მეფის ცხოვრება და სამწერლობო მოღვაწეობა]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.433–444.

კეკელიძე, კ. – თეიმურაზიანი. [არჩილ მეორე და მისი ნაწარმოების ანალიზი]. // წგ–ში: ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.2. საერო მწერლობა XI-XVIII სს. /კ. კეკელიძე. – ტფ.,1924. – გვ.348–358.

კეკელიძე, კ. – თეოდოსი განგრელის „მოსახსენებელის“ ქართული ვერსია და მისი მეცნიერული მნიშვნელობა. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.3. /კ. კეკელიძე. – თბ.,1955. – გვ.271–310.

